ქალი და რეალობა
WOMAN AND REALITY

საინფორმაციო ფურცელი N1

ევროპაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებების დაცვა: დაკვირვებები და პერსპექტივები

ევროპის უნივერსიტეტის ქალთა ინტერნეტ კონფერენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები ევროპაში. რა სახის პროგრესია საჭირო?"

დუნია მიატოვიჩის ონლაინ ჩართვა
ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი

სტრასბურგი, 14 ნოემბერი 2022

ქალთა უფლებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში შშმ) პირთა უფლებების დაცვა წარმოადგენს ჩემს დღის წესრიგს ჩემი უფლებამოსილების დაწყების დღიდან. მინდა გაგიზიაროთ რამდენიმე დაკვირვება საკუთარი პრაქტიკიდან და რამდენიმე მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ წინსვლას, რათა მივიღოთ რეალური შედეგები და უკეთ დავიცვათ შშმ ქალთა უფლებები.

სისტემური და ფართოდ გავრცელებული უთანასწორობა და დისკრიმინაცია - პირველ რიგში, მთელი ჩემი პრაქტიკის განმავლობაში, აღვნიშნავ, თუ რა ზეგავლენა აქვს ბევრ სისტემურ ბარიერს, მარგინალიზაციას და შეუმჩნევლობას შშმ ქალთა უფლებების რეალიზაციაზე. ამ ყველაფერს ღრმად აქვს ფესვები გადგმული ცრუ რწმენებსა და მავნე სტერეოტიპებში როგორც სქესთან, ასევე შეზღუდულ შესაძლებლობასთან და მასთან დაკავშირებულ ძალაუფლების დისბალანსთან მიმართებაში, რაც ფართოდ არის ფეხმოკიდებული ჩვენს საზოგადოებებში. აუცილებელია ამ საკითხების აღიარება, რათა მოხდეს ადეკვატური ზომების მიღება ცვლილებების განსახორციელებლად. კერძოდ, შშმ, ადამიანების, როგორც დამოუკიდებელი პირების სოციალური სტერეოტიპები, იმთავითვე ჩადებულია კანონების და პოლიტიკის საფუძვლებში, რაც კვლავ იძლევა ინსტიტუციონალიზაციას, იურიდიული შესაძლებლობების

ჩამორთმევის და განათლებაში სეგრეგაციის საშუალებას და არღვევს გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციას (CRPD) და ადამიანის უფლებათა სხვა სტანდარტებს.

შშმ ქალები განიცდიან უთანასწორობას და დისკრიმინაციას პრაქტიკულად ყველა მიმართულებით. მათ აქვთ დასაქმების დაბალი მაჩვენებლები და შემოსავალი, არიან ნაკლებად განათლებულნი და დაუცველია მათი ჯანმრთელობის მოთხოვნები შშმ მამაკაცებთან და არა შშმ ქალებთან შედარებით.

სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობა - ფართო სპექტრის მიუხედავად, დისკრიმინაცია და ადამიანის უფლებების სხვა სახის დარღვევები, რომლებსაც განიცდიან შშმ ქალები, ხშირად აღიარების გარეშე რჩება. მაგალითად, არსებობს სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობა, სქესის და შეზღუდული შესაძლებლობის მიხედვით, თუ რა გავლენა იქონია კოვიდ-19-მა დაწესებულებებში მცხოვრები პირების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე. თუმცა, საჭიროა უფრო ზუსტი მონაცემები პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად.

გენდერულ და შეზღუდული შესაძლებლობის აქტივიზაციაში არსებული ხარვეზები და მათი ინტერ-სექციურობა - ესენი წარმოადგენენ გამაფრთხილებელ ნიშნებს იმის შესახებ, რომ პოლიტიკის შემქმნელები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ შშმ ქალთა მდგომარეობას. ფაქტობრივად, სქესი და შეზღუდული შესაძლებლობა ხშირად გვევლინება დაგვიანებულ მოსაზრებად ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში და მათი ურთიერთ დისციპლინური ასპექტები რეგულარულად იგნორირებულია.

აღვნიშნე, რომ როგორც ევროპის საბჭო, ასევე ევროკავშირის სტრატეგიები შშმ პირთა უფლებების შესახებ აქცენტს აკეთებენ შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული საკითხების აქტუალიზაციის საჭიროებაზე პოლიტიკის სექტორებში, მათ შორის, გადამწყვეტია მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღებაზე ხელმისაწვდომობა. თუმცა, შშმ ქალები კვლავ **ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ან სულაც უგულებელყოფილნი არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში.** უფრო მეტიც, ზოგადად ქალთა უფლებების ხელშეწყობის ღონისძიებებს არ გააჩნიათ სათანადო გეგმა ან ბიუჯეტი. ხშირად მინახავს, რომ გენდერული თანასწორობის ინსტიტუტებს და ორგანოებს, რომლებიც შეიქმნა სტამბულის კონვენციის განხორციელების ხელშეწყობისა და მონიტორინგის მიზნით, არა აქვთ შესაბამისი დაფინანსება.

1. **გენდერული ძალადობა** და ქალთა **სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების** დარღვევა წარმოადგენს იმ სფეროების უპირველეს მაგალითს, სადაც ისეთი მავნე პრაქტიკა, როგორიცაა შშმ პირებისთვის უფლებამოსილების შეზღუდვა, იკვეთება და ქმნის მზარდ რისკებს შშმ ქალების და გოგონებისთვის.

დადგენილია, რომ შშმ ქალები 2-5-ჯერ უფრო ხშირად განიცდიან ძალადობას სხვა ქალებთან შედარებით. თუმცა, შშმ ქალები ხშირად უგულებელყოფილნი არიან პოლიციის და სხვა დამხმარე სამსახურების მიერ, როდესაც ისინი აფიქსირებენ მსგავსი ძალადობის შესახებ. ჩემი

ვიზიტების დროს, გენდერული ძალადობის მსხვერპლი ქალები ასევე მიზიარებენ თავიანთი სირთულეების შესახებ თავშესაფრების ხელმისაწვდომობის კუთხით, რომლებიც არ არიან ადაპტირებული მათ საჭიროებებზე და ასევე სასამართლოსგან დაუცველობის მიმართულებით. შშმ ქალები ასევე ხშირად არიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი და ძალიან ხშირად ეს ხდება თავად დაწესებულებებში. ინსტიტუციური გარემო წარმოადგენს ძალადობის განვითარების საფუძველს, მათ შორის, იმის გამო, რომ მსხვერპლი ვერ იღებს დახმარებას გარედან. მე გამუდმებით მოვუწოდებდი დეინსტიტუციონალიზაციისკენ და სანაცვლოდ საზოგადოებაზე დაფუძნებული მხარდაჭერის ქსელების შექმნისკენ. ამასთან დაკავშირებით, ცოტა ხნის წინ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეკომენდაცია და რეზოლუცია.

შშმ ქალები ასევე **იმყოფებიან სექსუალური ძალადობის გაზრდილი რისკის ქვეშ შეიარაღებული კონფლიქტისა და ჰუმანიტარული საგანგებო სიტუაციების დროს** და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა აღდგენით და სარეაბილიტაციო სერვისებსა და მართლმსაჯულებაზე. ამ წლის დასაწყისში, უკრაინაში ჩემი ვიზიტის და მეზობელ ქვეყნებში ჩემი მისიის შემდეგ, აქცენტი გავაკეთე განსაკუთრებული ყურადღების აუცილებლობაზე უკრაინაში შშმ ქალების, გოგონებისა და სხვა პირთა მდგომარეობაზე, რომლებიც გამორბიან კონფლიქტის ზონიდან.
უფრო მეტიც, საერთო ჯამში, შშმ ქალების სქესობრივი ცხოვრება არ არის აღიარებული, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი აკონტროლებენ საკუთრ ცხოვრებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ხშირად არიან **იძულებითი სტერილიზაციის, კონტრაცეფციის და აბორტის** მსხვერპლნი, ასევე მათი სურვილის და თანხმობის გარეშე ტარდება სხვა სახის სამედიცინო პროცედურები. ამჟამად ევროკავშირის 13 წევრ ქვეყანაში კანონმდებლობა კვლავ უშვებს შშმ პირთა იძულებით სტერილიზაციას, მათ შორის სამ სახელმწიფოში ეს დაშვებულია ბავშვების მიმართაც კი. ამ ფორმის ძალადობის მიზეზად სახელდება „პიროვნების საუკეთესო ინტერესები“, „ადამიანის დაცვა სექსუალური ძალადობისგან“, „კონტრაცეფციის გამარტივება“, იმ რწმენით, რომ ეს ქალები ვერ იზრუნებენ ბავშვზე, ასევე სამედიცინო მიზეზები.
ვერც ერთი მსგავსი მოსაზრება ან მიზეზი ვერ ამართლებს ასეთ იძულებით ზომებს და ძალადობას. ევროპის საბჭოს ყველა წევრ ქვეყანას მოვუწოდე, შეწყვიტონ იძულება ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ეს საკითხები ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული **უფლებამოსილების** საკითხთან. ხშირად, ინტელექტუალური და ფსიქო-სოციალური ნიშნით შშმ ქალთა უფლებები ირღვევა ირიბი გადაწყვეტილების მიღების შედეგად. ამ მიმართულებითაც, ჩემი რეკომენდაცია ყოველთვის იყო უფლებამოსილების ჩამორთმევის დასრულება.

2. გზა წინსვლისაკენ

არსებობს ბევრი საკითხი, რომელიც ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა უნდა დაარეგულირონ შშმ ქალთა უფლებების და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ეს მოიცავს შემდეგს:

- შშმ ქალთა მონაწილეობის სრულად უზრუნველყოფა იმ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც ზეგავლენას ახდენს მათზე, შემდეგი პრინციპის შესაბამისად „არაფერი ჩვენს შესახებ, არაფერი ჩვენს გარეშე“.
- ცრურწმენებთან და მავნე სტერეოტიპებთან ბრძოლა ქალებთან და შშმ პირებთან დამოკიდებულებაში;
- სქესის და შეზღუდული შესაძლებლობის, როგორც ჯვარედინი საკითხები განხილვა, ყველა პოლიტიკურ სექტორში
- ინტერ--სექციურობის სათანადოდ გათვალისწინება. ბევრი ქალი არი შშმ და შშმ პირები ასევე არიან ქალები და გოგონები და უკვე დროა ეს აისახოს კანონებსა და პოლიტიკაში.
- დეინსტიტუციონალიზაციისა და უფლებამოსილების რეფორმებისთვის პრიორიტეტის მინიჭება ირიბი გადაწყვეტილების მიღების ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად.
- ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ძალის გამოყენების შეწყვეტა და შშმ ქალების უზრუნველყოფა - ჰქონდეთ ინფორმაციაზე ნებაყოფლობითი წვდომა, რაც მისცემს საშუალებას მიიღონ თავისუფალი და ინფორმირებული გადაწყვეტილებები თავიანთი ჯანმრთელობის, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციულ ჯანმრთელობის და უფლებების შესახებ.
- ღონისძიებების გატარება გენდერული თანასწორობის გაზრდისა და ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ თვალსაზრისით, მივესალმები „დუბლინის დეკლარაციას“ ძალადობის პრევენციის შესახებ თანასწორობის გზით, რომელსაც ახლახან მოაწერეს ხელი ევროპის საბჭოს ოცდათვრამეტმა წევრმა ქვეყანამ.
- თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ორგანოებისა და ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ინსტიტუტების და არასამთავრობო ორგანიზაციების, აქტივისტებისა და აკადემიური წრეების მუშაობის სათანადო მხარდაჭერა.

წყარო : https://tinyurl.com/2vd54w3e

**წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი მომზადებულია
ორგანიზაცია „ქალი და რეალობა“-ს მიერ.
მისი მიზანია საქართველოს შშმ ქალებს გააცნოს
შშმ ქალთა აქტივიზმის საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკა.**

**საინფორმაციო ფურცელის მომზადება მხარდაჭერილია პროექტის ფარგლებში, „
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა გაძლიერება შრომითი და ეკონომიკური
უფლებების ადვოკატირების კუთხით“**

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ქალთა ფონდი საქართველოში

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA